სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების შედეგად ღუმელში დიდ ადგილს უთმობს დასტურული ელექტროღუმელების გამოყენებას. უხალისე წლებში ღუმელის მდანიერებული ღუმელები უნდა შეიცვალოს დასტურული ღუმელები. ამ გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმ სამუშაოებს, რომლებსაც წლების მანძილზე ატარებს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მეტალურგიის ინსტიტუტის ელექტროფორმის ლაბორატორია ზესტაფონის ფეროშენიშნობითა ქარხანასთან ერთად. სამუშაოები ითვალისწინება 250 და სხვადასხვა სიმძლავრის დასტურულ ღუმელებზე დნობების ჩატარებას. აღსანიშნავია, რომ ეს ცდები პირველია საბჭოთა კავშირში.

გამოცდა როგორც ლითონის, ისე ცეცხლგამძლე ბეტონის კამარები კაშხის ჩატვირთვის რამდენიმე მეთოდით: ჩატარებულ იქნა ნახშირბადიანი ფეროშენიშნობის, სილიკომანგანუმის, ფეროსილიციუმისა და ნახშირბადიანი ფეროქრომის დნობები; მიღებულ იქნა დასტურულ ღუმელებზე მუშაობის მეთად საჭირო გამოცდილება.

აღნიშნული შენადნობებიდან სილიკომანგანუმი და ფეროქრომი დასტურულ ელექტროღუმელებში გამოდნობილია მსოფლიოში პირველად. ტექნიკური ლიტერატურა საერთოდ ძალიან ღარიბია ცნობებით სხვა შენადნობების დნობაზედაც დასტურულ ღუმელებში. მით უფრო ძვირადია მიღებული შედეგები ჯერინ ქვეყნის სუკიალური საკონსტრუქტორო ბიუროებისათვის, რომელთაც ევალებათ დასტურული ღუმელების დაპროექტება.

შემოდინიშნული დნობების საცდელი ხასიათის გამო მიღებული აირები არ გამოიყენებოდა. მტერისაგან წინასწარი, უხეში გაწმენდის შემდეგ მათ წვადნენ საკმაოდ მილის ბოლოზე.

დასტურული ღუმელი მუშაობს 1-3 მმ წყლის სვეტის დადებითი წნევის ქვეშ. უარყოფითი წნევის შემ-



ნახ. 4. 250 კვა სიმძლავრის ლითონის კამარიანი საცდელი დასტურული ელექტროღუმელი მუშაობის დროს


თხვევაში მოსალოდნელია სისტემაში ჰაერის შეწოვა და აფეთქება, ვინაიდან ჰაერის სარევი ნახშირყანგთან 16-75%-ის ფარგლებში წარმოქმნის მგრგვინაც აირს. ექსპერიმენტულმა დნობებმა გვიჩვენა, რომ ღუმელში ეს საშიშროება ნაკლებმოსალოდნელია, ვინაიდან ჰაერის ცანგებადი ღუმელის შავტში მოხვედრისთანავე მაღალი ტემპერატურის ზეგავლენით ენგავს ნახშირყანგს ნახშირორყანგად, რითაც აზავებს პირველის კონცენტრაციას და ხელს უშლის ფეთქებადი სარევის წარმოქმნას.

ცდების დროს ყოველ ცალკეულ შემთხვევაში წარმოება დნობების ოპტიმალური რეჟიმის შერჩევა, ზედბოდა დაკვირვებები გამავალ აირებზე — იზომებოდა მათი რაოდენობა, მტერიაზობა და ტემპერატურა.

250 კვა დასტურულ ღუმელზე სილიკომანგანუმის დნობებისას 1 ტ შენადნობზე მიღებულ იქნა 700 მმ³ აირი, რომლის კალორიულობაც შეადგენდა 2900 კკალ/მ³-ს; შესაბამისად მიღებულ იქნა: ნახშირბადიანი ფეროშენიშნობის დნობისას 1330 მმ³ აირი 1800 კკალ/მ³ კალორიულობით; ფეროსილიციუმის დნობისას 395 მმ³ აირი 2950 კკალ/მ³ კალორიულობით და ფეროქრომის დნობისას 840 მმ³ აირი 2600 კკალ/მ³ კალორიულობით.

ღუმელიდან გამავალი აირების მტერიაზობა იცვლებოდა სხვადასხვა შენადნობებისათვის საკმაოდ დიდ ფარგლებში. ასე, მაგალითად, ფეროქრომის გამოდნობისას მიღებულ იქნა 5 კგ მტერი, ფეროსილიციუმის გამოდნობისას — 17 კგ, სილიკომანგანუმის გამოდნობისას — 62 კგ, ხოლო ნახშირბადიანი ფეროშენიშნობის გამოდნობისას — 85 კგ 1 ტ მიღებულ შენადნობზე.

* მმ³ — ნორმალური კუბური მეტრი მოცულობა 0° ტემპერატურისა და 760 მმ სინიფის სვეტის წნევის დროს.



ნახ. ნ. ცუცხლაძემდე რკინაგზის კამარის საცდელი
დახურული ელექტროდენდო მუშაობის დროს

წინასწარი ვარაუდით, დახურულ დნობებზე გადასვლასთან ერთად უნდა გაზრდილიყო ელექტროენერგიის ხარჯი მიღებული შენადნობის წონის ერთეულზე, ვინაიდან კამარა იწვევს ელექტროდენდის თავისუფალი ბოლოების დაგრძელებას, იცლებს ღუმელში ჩამავალი კაზმის ტემპერატურა საკერძე აირების წვის გამორიცხვასთან ერთად და უარესდება საკერძე მისი მიუწვდენლობის გამო. ცდებმა გვიჩვენა, რომ, მართლაც, ადგილი აქვს ელექტროენერგიის ხარჯის მცირე ზრდას. მაგალითად, საშუალო სიმძლავრის დახურულ ღუმელში სილიკომანგანუმის გამოდნობისას ელექტროენერგიის ხარჯი 1 ტ პროდუქტზე გაიზარდა 200 კვტს-მდე. მაგრამ ამავე დროს მიიღება 730 მწ აირი, რომლიდანაც თვითრეულად შეიძლება 2 044 000 კკალ სითბოს მიღება: ეს სითბო დახარჯული ენერგიის თითქმის 50%-ს (≈ 2420 კვტს/ტ) შეადგენს, რაც ერთითად აღემატება გადახარჯულ ენერგიას.

გარდა ამისა, დახურულ ღუმელებში საკერძის გაუარესებით გამოწვეული ელექტროენერგიის ხარჯის ზრდა შეიძლება თავიდან იქნეს აცილებული მბრუნავი ელექტროდენდების გამოყენებით. ასეთ ღუმელებში ბრუნავს მხოლოდ კაზმით სავსე ღუმელი, ხოლო, კამარა და ელექტროდენდები უძრავია.

ღუმელის ბრუნვის ოპტიმალური სიჩქარე დიდადაა დამოკიდებული გამოსადნობ პროდუქტსა და საკაზმე

მასალის ხარისხზე და მერყეობს ერთი წამის 24 საათში — ერთ ბრუნვამდე 96 საათში.

როგორც სამაშულო, ისე საზღვარგარეთის ფერო-შენადნობთა მრეწველობის გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ მბრუნავ ღუმელებზე ელექტროენერგიის ხარჯი სტაციონარულ ღუმელებთან შედარებით მცირდება 5-15%-ით.

ჩატარებულმა ცდებმა ცხადყო, რომ მადანამდგენელი ელექტროდენდების გადახურვა შესაძლებლობას მოგვცემს:

ძირეულად გავაუმჯობესოთ მომსახურე პერსონალის მუშაობის პირობები;

მოვახდინოთ მჭიმე შრომატევადი პროცესების მექანიზაცია, რაც ღუმელის მართვის ავტომატიზაციის პერსპექტივას იძლევა;

გამოვიყენოთ გამავალი აირების პოტენციალი ენერგია ამავე ღუმელებისათვის საჭირო საკაზმე მასალების მოსამზადებლად (გასაშრობად და გასათბობად). რაც საკმაოდ დიდ ენერგეტიკულ ეფექტს გვაძლევს, ან ვინმართ ჭიმოური სინთეზისათვის ძვირფასი ორგანული ნივთიერებების (მეთანოლის და სხვ.) მისაღებად. უკანასკნელი მოსაზრება უფრო მნიშვნელოვანია. თუ, მაგალითად, რომელიმე ფეროშენადნობის ქარხანა 100 000 ტ პროდუქტის წარმოებლობისა, მაშინ ის წელიწადში მოგვცემს 100 000 000 კვ-მდე ძვირფას ნედლეულს — აირს, რაც კარგი ბაზაა ჭიმოური ქარხნის მშენებლობისათვის.

შევამციროთ კაზმში აღმდგენლის რაოდენობა, რადგან არ ზდება მისი გამოწვა საკერძე აირების წვის გამორიცხვასთან დაკავშირებით. დახურული დნობების დროს, როგორც წესი, ნაკლები იყო საერთოდ ყველა საკაზმე მასალის ხარჯი.

გავწმინდოთ გამოშავილი აირები მტერისაგან, რომელიც ძვირფას პროდუქტს წარმოადგენს. მაგალითად, ფერომანგანუმისა და სილიკომანგანუმის მტერი შესაძლოა გამოყენებულ იქნეს ელექტროლიტური მანგანუმის წარმოებაში.

გამომავალი აირებისა და მტერის გამოყენება და საკაზმე მასალების ხარჯის შემცირება საგრძნობლად გააიაფებს მიღებულ პროდუქტს.

ამჟამად საბჭოთა კავშირში დიდი მუშაობაა გაშლილი დახურული ღუმელების წარმოებაში დასაწერად. სასიხარულოა ის ფაქტი, რომ ქართველ მეცნიერებსა და ინჟინერებს ამ საქმეში საბატიო ადგილი ეკუთვნით.



ჩეხოსლოვაკიის

საქართველოში
მედიკალიზაციის
განვითარების
კუთხე

მიმდინარე წლის ივნისში თბილისში მოეწყო ჩეხოსლოვაკიის სამედიცინო მოწყობილობის, ლაბორატორიული ხელსაწყოებისა და წამლების გამოფენა.

გამოფენაზე წარმოდგენილი იყო სამედიცინო მრეწველობის მრავალფეროვანი პროდუქცია: ოპტიკური ხელსაწყოები, კბილის სამკურნალო დანადგარები, რენტგენის აპარატები, სასტერალიზაციო და წყლის თერაპიის აპარატები, ქირურგიული და სანარკოზო მოწყობილობები, ქიმიკატები და წამლები. სულ წარმოდგენილი იყო 600 ექსპონატზე მეტი.

გამოფენა თვალნათლივ მეტყველებდა იმ დიდ მიღწევებზე, რომლებიც სოციალისტური ჩეხოსლოვაკიის არსებობის 15 წლის მანძილზე იქნა მოპოვებული. მრეწველობის ნაციონალიზაციის შედეგად ჩეხოსლოვაკიაში შეიქმნა ნაციონალურებული საწარმოებისა და ქარანების გაერთიანება. ჩეხოსლოვაკია დაიფარა ქარხნებისა და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების ფართო ქსელით. საწარმოთა მთელი კომპლექსი აღჭურვილია თანამედროვე მექანიზებული და ავტომატიზებული დანადგარებით.

ჩეხოსლოვაკიის მრეწველობის მრავალ დარგს შორის სამედიცინო მრეწველობა ერთ-ერთ პირველ ადგილზეა. მეცნიერ მუშაებმა საუცხოოდ დაამუშავეს სამკურნალო საშუალებათა სინთეზის, მათი მიღების ტექნოლოგიური პროცესები და კონტროლის საშუალებანი. „სპოფას“ მარკის მაღალხარისხოვანი პრეპარატები ფართოდაა ცნობილი მთელ მსოფლიოში. ჩეხოსლოვაკური მედიკამენტების ექსპორტი 25 სახელმწიფოში წარმოებს.


ასევე ფართოდაა ცნობილი საწარმო „ხირანას“ სამედიცინო აპარატები და მოწყობილობანი. „ხირანას“ არის საიმედოობის, სიზუსტისა და შესრულების თანამედროვეობის სიმბოლო. მედიცინის ყველა დარგის ექიმ-სპეციალისტებთან თანამშრომლობით საწარმო „ხირანას“ კონსტრუქტორები აღუშავევენ მაღალხარისხოვან აპარატებს, რომლებიც განკუთვნილია თანამედროვე სტაციონარებისა და საექიმო პრაქტიკის მოდერნიზებისათვის. სპეციალისტთა მოწონებას იმსახურებენ ქირურგიული მოწყობილობანი, ქირურგის მუშაობასთან დაკავშირებული მრავალი ხელსაწყო და აპარატი: უნივერსალური საოპერაციო მაგიდა, უნივერსალური საოპერაციო აპარატი „ხირანა ხირექსი“, დეფიბრილატორი „პრემა“, ქირურგიული გამომწოვი მოწყობილობა, სისხლის ამომწოვი წყალპავლური ექიმტორი, ქირურგიული ელექტროაპარატი „ხირანა ხირტომი“ და სხვ. ქი-

რურგიული ხელსაწყოების დამზადებისას გათვალისწინებულია საოპერაციო ტექნიკის ყოველი მოთხოვნილება და ამიტომ ისინი ძლიერ ადვილდებიან და აჩქარებენ ოპერაციის წარმოებას.


უნივერსალური საოპერაციო აპარატი „ხირანა ხირექსი“ (ნახ. 1) წარმოადგენს ექიმის ერთგვარ ასისტენტს და წარმატებით გამოიყენება ოპერაციის დროს ყველა საექიმო დაწესებულებაში.

„ხირანა ხირექსის“ შემადგენელი ნაწილებია: ელექტროძრავა ენგულორებული ბრუნთა რიცხვით, კალსტიკსა და ენდოსკოპის აპარატი, კოაგულაციისა და ელექტროტომიის აპარატი და ქირურგიული გამომწოვი.

ელექტროძრავას უდიდესი ბრუნთა რიცხვია 3000 ბრ/წთ. იგი გამოიყენება მბრუნავ ხელსაწყოთა ამძრავად. ხელსაწყოს მოქნილ ლლავს, რომელთანაც შერ-



ნახ. 1



ნახ. 2

თებულია მბრუნავი ან მთრთოლი ხელსაწყოები, აქვს დამკავი დაფარვა. ძრავას ლილვი მოქნილ ლოლვს უერთდება ტექსტურმოდიფიკატორით, რაც უზრუნველყოფს ექსპლორატორის სრულ უსაფრთხოებას.

კაუსტიკისა და ენდოსკოპის აპარატი წარმოადგენს დენის წყაროს პლატინის კაუსტიკური ბენიკების ასაფარვარებად და დიაგნოსტიკურ ხელსაწყოთა დაბალვოლტაჟიანი ნათურების კვებისათვის.

კოაგულაციისა და ელექტროტომიის აპარატი წარმოადგენს ელექტრულ ოსცილატორს დიდი ტრიალით. მისი მეშვეობით კოაგულაციის წარმოება შეიძლება ძლიერ ფართო დიაპაზონით. იგი გამოიყენება აგრეთვე ელექტროკავთებისათვის. შესაძლებელია დენის ძალის დიდი სიზუსტით შეცვლა. ამიტომ ეს აპარატი გამოიყენება როგორც ტვინის ქსოვილის რეზექციის, ისე კენთების ოპერაციის დროს.

ამ აპარატის ზუსტი რეგულირება შეიძლება ქსოვილის წყლის ქვეშ გაცვეთის დროსაც. ამიტომ იგი გამოიყენება შარდის ბუშტში წარმოებული ყოველგვარი ქირურგიული ჩარევისას. ამ აპარატის გამოყენება შეიძლება ერთდროულად გაცვეთისა და კოაგულაციისათვის ორი სხვადასხვა ელექტროდის გამოყენების დროს.

ქირურგიული გამომწოვის ნაწილებია: დღუნიანი აგრეგატი, ძრავა და ორი ლ ტევადობის 2 გამოწოვი ბალონი, დამკავი პურქელი, ვაკუუმმეტრი, გადასართავი ონკანი და ჰაერის მიწოდების სარეგულაციო ვენტილი.

უნივერსალური საოპერაციო აპარატის „ხირანა ბირეჟისი“ მართვა წარმოებს მართვის პულტით, რომელ-

ზედაც მოთავსებულია: ძრავას ბრუნველყოფის სარეგულირებელი მოწყობილობა, ენდოსკოპის მოწყობილობა, ტიკის სამართი მოწყობილობები, კოაგულაციისა და ელექტროტომიის ხელსაწყოთა გადამრეგულირებელი, ელექტროძრავას გადამრეგულირებელი, ენდოსკოპისა და გამოწოვის გადამართი ამორტეგებლები, ფუჟვადი განმუხტვის საკონტროლო ნათურები კოაგულაციისათვის, ენდოსკოპის, გამომწოვისა და ელექტროძრავასათვის.

ყურადღებას იქცევს დეფიბრილატორი „პრე-მა“. ამ აპარატმა ბრიუსელის გამოფენაზე 1953 წელს „პირველი პრიზი“ მიიღო. მისი კონსტრუქცია ისე მახვილგონივრულადაა მოფიქრებული, რომ ამ აპარატის გამოყენება შეიძლება არა მარტო კლინიკურ პრაქტიკაში, არამედ ექსპერიმენტულ და სამეცნიერო-კვლევით მუშაობაშიც. ქირურგიაში მას იყენებენ უშუალოდ და ტრანსთორაკალური დეფიბრილაციისათვის.

აპარატის მიმოძივე ლითონის კარდას აქვს ყველა სამართი ნაწილი და საკონტროლო-საზომი ხელსაწყოები. ისინი მოთავსებულია პანელის ზედა ფილაზე. ესენია: მაღალი ძაბვის ვოლტმეტრი, შუქის მაჩვენებელი, დაბალი ძაბვის ვოლტმეტრი, ფუჟვადი განმუხტვის საკონტროლო ნათურა, დაბალვოლტაჟიანი დეფიბრილატორის ენობი, იმპულსის ხანგრძლიობის რეგულატორი, მთავარი გადამრეგულირებელი, გამოსავალი ძაბვის რეგულატორი და მაღალვოლტაჟიანი დეფიბრილაციის ენობი.

ფუჟვადის მიხედვით აპარატი იყოფა ორ — დაბალ- და მაღალვოლტაჟიან ნაწილად. დაბალვოლტაჟიანი ნაწილი განკუთვნილია უშუალოდ დეფიბრილაციისათვის (გახსნილი გულშეკრდის დროს). მაღალვოლტაჟიანი დეფიბრილატორი განკუთვნილია ტრანსთორაკალური და უშუალოდ დეფიბრილაციისათვის გახსნილი და დახუტული გულშეკრდის დროს.

ქირურგიის ახალი დარგების შექმნა, როგორიცაა: ნეიროქირურგია, გულმკერდის ქირურგია, განსაკუთრებით კი კარდიოქირურგია, შესაძლებელი გახდა ანესთეზიოლოგიაში მიღწეული ახალი საშუალებებით. ანესთეზიოლოგი, გარდა სპეციალური ცოდნისა, სპეციალურ სრულყოფილ სანარკოზო აპარატს დასმარებდა. გამოყენებაზე წარმოდგენილი იყო ჩხსნაროვანი კონსტრუქტორთა მიერ დამუშავებული სანარკოზო აპარატები: „ხირანა № 5“, ელექტრომომისა და ელექტრონარკოზის კომბინირებული აპარატი, საინჰალაციო სანარკოზო აპარატი „ხირანა DK“ და სხვ.

„ხირანა № 5“ (ნახ. 2) ახალი სანარკოზო აპარატია აირებისათვის. იგი მუშაობს ოთხი ნარკოტიკული-აირით: O_2 , N_2O , C_2H_6 , CO_2 . ამ აპარატს გააჩნია კარგად მოფიქრებული სამარჯვები, რომლებიც ანესთეზიოლოგთა მაღალ შეფასებას იმსახურებს რთული და ხანგრძლივი ოპერაციის დროს.

„ხირანა № 5-ის“ ახალი კონსტრუქციის სარეგულაციო ვენტილები უზრუნველყოფს უნაყოლო მუშაობას.

უფრო მეტი ვენტილაციის ზუსტი ჰარკსაზომ-როტომეტრები განაპირობებს სანარკოზო აირების ზუსტ მიწოდებას. სპეციალური ტიპის ეთერის საორთქლებელი ამცირებს ინდუქციის დროს ნარკოზამდე და ერთგვანი მეთოდის გამოყენების საშუალებას იძლევა. საღოზავი მოწყობილობა მარტივი კონსტრუქციისაა, რითაც გამოირჩეულია ავარიის და აირის მიწოდება უმოკლესი გზით წარმოებს.

450, 300 და 150 გ ტევადობის სამი შთამონქმელი აფართოებს ამ აპარატის გამოყენების არეს: იგი შეიძლება გამოყენებული იქნეს ბავშვებისა და მოზრდილების ნარკოზის დროს.

საპარო ვენტილი რეგულირდება წვრილკუთხეილიანი ზრახნით, რითაც შეიძლება არა მარტო ავადმყოფის სასუნთქი გზების გადართვა პაერზე ან აპარატში, არამედ პაერის შეერთებაც ინჰალირებულ ნარევეთან. ვერცხლისწყლიანი ტონომეტრი ავტომატურად მუშაობს. სამაჯურები გავსებულია ქანგბადით. მისი გამოშვება წარმოებს ხელით სარეგულირებელი სარქველის მეშვეობით. შესაძლებელია მოცემული სიდიდის მუდმივი წნევის შენარჩუნების რეგულირება.

მთელი აპარატის სამუშაოდ მომზადება შეიძლება 10 წუთის განმავლობაში.

გამოფენაზე დიდი რაოდენობით იყო წარმოდგენილი რენტგენის აპარატები, მიღები და ვენტილაციის სპეციალისტები მაღალ შეფასებას აძლევდნენ აქ წარმოდგენილ რენტგენის აპარატებს, როგორც: დიაგნოსტიკური რენტგენის აპარატი „კლინიკ 3“, რენტგენის გადამსატანი აპარატი „ხირანა ზირაქსი“, ნახევარტალღური რენტგენის აპარატი „ხირანა უნიდორი“, დიაგნოსტიკური რენტგენის აპარატი გამართვის ოთხვენიტილიანი სქემით, მორტორულ-გადამსატნელი უნივერსალური დიაგნოსტიკური შტატივი სერიოზოგრაფიით „მორტოსკოპ 312“ და მრავალი სხვ.



ნახ. 4

საქიმიო პრაქტიკაში ზოგჯერ რენტგენიერება ავადმყოფის საწოლთანაა საჭირო. ასეთ შემთხვევაში ფასდაუდებელია რენტგენის გადამსატანი აპარატი „ხირანა ზირაქსი“ (ნახ. 3). ეს აპარატი მცირე მოცულობისაა, მაგრამ დიდი სიმძლავრე გააჩნია. რადიაციის ძალა 65 კილოვოტის დროს 15 მილიამპერს უდრის. „ხირანა ზირაქსი“ შეიძლება სკიასკოპისა და სკიოგრაფიის ჩატარება, სხეულის ყოველი ნაწილის კონტრასტული სურათის გადაღება.


ეს აპარატი ელექტროქსელში ჩაირთვება ჩვეულებრივი შტეფსელის ჩანგლით. სხვადასხვაგვარი ტუბუსებით და კრიბოსკოპებით უზრუნველყოფს აპარატის მრავალმხრივ გამოყენებას. საკუთნართო კომბინაციის მხრივ ეს აპარატი უნივერსალურია. აპარატთან მუშაობა სავსებით მარტივი და უსაფრთხოა.

მომძრავი შტატივი მცირე წონისაა, მაგრამ ყოველ მდგომარეობაში მდგრადია. ზუსტი ბალანსირება გამოირჩევა ვიბრაციის შესაძლებლობას. აპარატის თავის აწევა და დაწევა წარმოებს გადაცემის მექანიზმით — თვითშერთვით, ამიტომ ცალკე საჩერებელი მოწყობილობა საჭირო არაა.

რენტგენის კამერაში მოთავსებულია რენტგენის მილი და ტრანსფორმატორი. გამოსხივების მავნე გავლენისაგან დასაცავად მილი დამაგრებულია ტყვიით. მაღალი ძაბვისაგან საიზოლაციოდ გამოიყენება სპეციალური ზეთი, რომელიც ამავე დროს მაიცვებელ აგენტს წარმოადგენს.

რენტგენის მილი „ხირანა დოკი“ კონსტრუქციულად სავსებით განსხვავდება ჩვეულებრივი რენტგენის მილებისაგან. კონსტრუქციული სიხალბით მიღწეულია გაცილებით მაღალი სიმძლავრე, ვიდრე ეს მოსალოდნელი იყო ასეთი მცირე მოცულობის მილისაგან.

რენტგენის კამერის უდიდესი სიმაღლე იატაკიდან 170 სმ უდრის, უმცირესი — 25 სმ. შტატივის სიმაღლე 178 სმ-ია, აპარატის აწყობა ან დაშლა შეიძლება 2-3



ნახ. 5





წუთში. გადატანის გასაადვილებლად იგი იწყობა ერთ-
ნაირი წონის ორ ჩემოდანში. აპარატის წონა 33 კგ.
ხოლო ჩემოდნებითა და საკუთნარითურთ — 48 კგ.

გამოფენის სანტერგისო ექსპონატებს წარმოადგენ-
დნენ კბილის სამკურნალო აპარატები: კბილის სამკურ-
ნალო რენტგენის აპარატი „ხირანა სტომაქსი“, კბილის
სამკურნალო რენტგენის დანადგარი მიმოძრავ შტატივ-
ზე „ხირანა მიწიდვტი“, სტომატოლოგიური დანადგარ-
ი „ხიმატი“, კბილის სამკურნალო ვარირტური „ხირა-
ნა“, შტატივიანი ბორმანქანა „ხირანა SVI“, კბილის სამ-
კურნალო საოპერაციო საფარძლები და სხვ.

კბილის სამკურნალო რენტგენის აპარატი „ხირანა
სტომაქსი“ (ნახ. 4) დიდი სიმძლავრისაა. ამ აპარატით
შესაძლებელია არა მარტო კბილის კონტრასტული სუ-
რათების გადაღება, არამედ — ყბის, ქალსის და კიდუ-
რებისა. მისი მეშვეობით შეიძლება კბილების სწრაფი
საორიენტაციო რენტგენოსკოპიის ჩატარება. ამ მიზნით
გამოიყენება გრძნობიერი კლიტაინი რენტგენის პატა-
რა ეკრანი. ამ აპარატის ღირსებას შეადგენს: დიდი სიმ-
ძლავრე, ზუსტად მომუშავე რელე, მასივური კონსტრუ-
ქცია, სხვადასხვაგვარი სურათების გადაღება, ელექტ-
როენერგიის მცირე რაოდენობით ხარჯვა, მომსახურე-
ბის სიადვილე, ხანგრძლივი ვარგისიანობა და ლამაზი
გაფორმება. ეს აპარატი წარმატებით გამოიყენება თანა-
მედროვე კბილის სამკურნალო კაბინეტში.

მილის გარსაცმი ისეა კონსტრუირებული, რომ ად-
ვილად შეიძლება მისი სხვადასხვა პოზიქციაში დაყე-
ნება. მაღალი ძაბვის წყრელი მთლიანად ჩასმულია ლი-
თონის ბუდეში. მილის ანოდი დახურულია დამკავი თა-
ვით. მილის გარსაცმი დაფარულია ტყვიით X-სხივების
დაკარგვის თავიდან ასაცილებლად. გარსაცმიდან ჰაერი
ამოკრებულა მაღალ ვაკუუმამდე და იგი ავსებულია
ტრანსფორმატორის ზეთით.

მილის გარსაცმი შეიძლება შემობრუნდეს პრი-
ზონტალური ღერძის ირგვლივ 270°-ით, ხოლო ვერტიკა-
ლური ღერძის ირგვლივ — 360°-ით.

შტატივს აქვს კარგად დამუშავებული მასივური
თუჯის სადგარი, რომელიც უზრუნველყოფს აპარატის
მდგრადობას მილის გარსაცმის ყოველი მდგომარეობის
დროს. შტატივზე მოთავსებულია საფარძელი, რომლის
სასურველ სიმაღლეზე დაყენება შეიძლება ბერკეტის
მიმართებით. რენტგენის აპარატი შეიძლება დიადგას
უსაფრთხლოდ.

ამ აპარატში გამოყენებულია სპეციალური კონსტ-
რუქციის რენტგენის მილი „ხირანა დოკი“. რენტგენის
მილებს უზრავლესობა მუშაობს გაჯერების დენით, რო-

მილის ძალა რეგულირდება კათოდის ბოჭკოს ვარვარე-
ბის ხარისხით. ამის შედეგად აღიძვრება ჩრდილო-სიხვე-
ბი, რომლებიც უნდა გაიფილტროს. „ხირანა დოკი“
გამოყენებულია ღრმად ჩაუყრსული ბოჭკო, რომელიც
გავარვარების შემდეგ წარმოქმნის მუხტს. ეს უკანასკნე-
ლი შეიძლება ინტენსიურად იქნეს გამოყენებული ანო-
დური დენის წარმოსაქმნელად იმ დროს, როდესაც
ცვლადი ანოდური ძაბვა მილში ბიკურ მნიშვნელობას
აღწევს. ამგვარად, რბილი სხივების წარმოქმნის ჩახშო-
ბით შესაძლებელი ხდება რენტგენის მილის თბორევა-
ლობა გამოყენებულ იქნეს უფრო ხისტი სხივების მისა-
ღებად, რაც დიდად აუშჯობესებს გადაღებული სურა-
თის ხარისხს.

ანოდური დენის მუდმივობა უზრუნველყოფილია
თვით რენტგენის მილის კონსტრუქციით. ანოდური დენი
არაა დამოკიდებული ბოჭკოს ვარვარების ხარისხზე.
ამიტომ რენტგენის მილით ვარვარების ძაბვის სპეცია-
ლური სტაბილიზატორი საჭირო არაა. მაგნიტური გან-
ხივების შემცირებითა და მაგნიტური ნაწერობის ამო-
ღებით გაუმჯობესებულია ტრანსფორმატორის კონსტ-
რუქცია.

დაყოვნების ზუსტი რელე უზრუნველყოფს მაღალ
სიმძლავრესა და სწრაფ გადაღებას. რელე აპარატთან
ჩაირთვება შტეფსელის ჩანგლით. ექსპოზიციის დამთავ-
რების შემდეგ აპარატი ავტომატურად გამოირთვება.


„სტომაქსი“ არ საჭიროებს დამატებით ტრანსფორ-
მატორებსა და სტაბილიზატორებს, რომლებიც გადღე-
ბათა შეუღლებში ჩართული უნდა იყოს. ეს ძლიერ ამ-
ცირებს ელექტროენერგიის ხარჯს. მაგალითად, 6000 სუ-
რათის მისაღებად ისარჩება 1 კვტს.

35 სტენდზე გამოფენილი იყო ჩეხოსლოვაკიის
ფარმაცევტული მრეწველობის პროდუქცია: „სპოფას“
მარკის მედიკამენტები, კბილის საექიმო ნაყეთობანი, ქი-
რურგიული საყარავი მასალები, ლაბორატორიული ქი-
მიკალები და ინდიკატორები, ორგანული რეაქტივები,
ამინომეკავები და სხვები, მინერალური წყაროების
პროდუქტები და სხვ.

ჩეხოსლოვაკიის სამედიცინო მოწყობილობის, ლა-
ბორატორიული ხელსაწყოებისა და წამლების გამოფენა
ცხადყოფს, რომ ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რეს-
პუბლიკა არის შრომისა და მშვიდობის ქვეყანა. აღმაზ-
ნის განმტოვლობაზე განსაკუთრებული ზრუნვით ჩე-
ხოსლოვაკელ მშრომელებს თავიანთი საპატიო წვლილი
შეაქვთ მსოფლიოს მშვიდობის საქმეში.

ბ. ქაბთვილიშვილი





„მოყინული“ დეტალები

ჩვეულებრივ, ბევრი სიმწელე წარმოითქმა პლასტიკისა და სხვა არასაკმაოდ ხისტი დეტალების მექანიკური დამუშავების დროს. პირველ ყოვლისა რთული ზღვება ასეთი დეტალების დამაგრებას ლითონსაქრელ წარჩენს. არცთუ დიდი ხნის წინათ გამოჩნულ იქნა გონებაშეზოგადებული ბერბი დეტალების დამაგრების ჩარხის ფორმად...

ჩარხის მაგიდას მიამაგრებენ სპეციალურ გაყვანილ ფოლს. მის შიგნითაა სილრუის ლაბირინთი, რომელშიც მიეწოდება საცავებელი სითხე. ამ ფოლზე იდება კიდევ ერთი, გერბე წოდებული საყენებელი ფოლა, ხოლო ზემოთ იდება დასამუშავებელი დეტალი და ისხდება წყლის მცირე ფენა. ლაბირინთის საცავებელი მოქმედების წყალობით წარმოქმნება ყინული, იგი მტკიცედ აკავშირებს დასამუშავებელ დეტალს საყენებელ ფოლთან. ასეთი გზით შესაძლებელია ზღვება არაბრტყილი დეტალების დამუშავება საფრანგ, საბურღი და სხვა ჩარხებით.

დეტალის დამუშავების შემდეგ ლაბირინთში ზღვება გახრებულ სითხე და ყინულის შრე საყენებელ ფოლზე დნება, ათავსუფლებს რა ამით დეტალს.

ასეთ მიწოდებაში გაყინვა-გაღვლის ციკლი გრძელდება არა უმეტეს 8 წუთს. ფოლის ტემპერატურა არ უნდა იყოს მიწის 12°-ზე დაბალი; საცავებელი სითხის ტემპერატურა — მიწის 15°.


დანიშნავი შეიძლება ერთხელ და იმავე დროს მოემსახუროს ორ ჩარხს.

ავტომატური ჯალამბარი

საფრანგეთში პატენტი გაიკა ავტომატური ჯალამბარის შესახებ, როგორც ფურნალი „ლაიანი ნიუსი“ იუწყება, ჯალამბარის დიდი მოძრაობაში მოდის კბილანთი, რომელიც მასზეა დამაგრებული და დაკავშირებული სხვა კბილანთან, რომელსაც აქვს კბილანა ქურთი. ქურთი ითვება ლილვის ღერძული გადაადგილებისას, რაც ერთხელ და იმავე დროს ათავსუფლებს დამკვედ დიკოს და შტოტს. ქიპარხანი მობრუნდება სახრის ღერძზე და მოდებში მოდის დილის მპარუნივლ ქიპარხანის თვალთან. ქიპარხანული წყველი თვითმოხრუჭავს. ქიპარხანი თავის ღერძზე ყოცება და თვალთ მოედება ფარფიტოვან ზამბარას.

აწვეის დროს ტვირთი კავდება თვითმოხრუჭ ქიპარხანული გადაცემით, ხოლო დამუშავების დილის ბრუნვის ბერტყელ თავსდება ლილვის საპირსპირო მპარეზე, სადაც დგას ქურთი. ამ ქურთის მეშვეობით ბრუნვა გადაცემს დამბარე კბილანს, ხოლო იგი თავის მხრივ კონსურთი წველის მეშვეობით ბრუნვის ანიგებს ქიპარხანულ გადაცემას. ქიპარხანის კბილანს მიდება დილის ბრუნვის კბილანთან უზრუნველყოფილი დამკვედ დიკით, რომელიც დამკვედ შტოტზეა. ტვირთის დამუშავა ასევე წარმოებს თვითმოხრუჭ ქიპარხანული გადაცემის მეშვეობით მინიალური ძაღვის დროს.

უთვლო მოტოროლარი



ორმა ამერიკელმა ინჟინრმა ააგეს უთვლო მოტოროლარი, რომელიც თავისთვის ქმნის „საპერო ბალიშს“. მისთვის აუცილებელია საპერო პერტი მიეწოდება სპეციალური საპერო ხრახნით, რომელიც მოძრაობაში მოდის 12 ცხ. ძ სიმძლავრის ორტატიანი ძრავით. მოტოროლარის უნარი აქვს გადაადგილდეს ასფალტით დავებულ გზებზე, წყალზე, თოვლსა და ყინულზე. მისი მაქსიმალური სიჩქარე საათში შეადგენს 40 კმ.ს.

სად იმყოფება ჩვენი გალაქტიკა?

ცნობილია, რომ ვარსკვლავთა უზარმაზარი სისტემები, გალაქტიკები, მათ შორის ჩვენი გალაქტიკაც (ირმის ნახტომი), სახეარბო შემთხვევით არაა განლაგებული. ისინი შედიან გალაქტიკების გროვებში, რომელიც ათეული ათასობით წევრს ითვლის. ასეთი გროვებია ვერონიკეს თემები, გველუქის, ქალწულის თანავარსკვლავედებში. უკანასკნელი გროვის წევრს წარმოადგენს ჩვენი გალაქტიკაც.

უკანასკნელ წლებში იმ გალაქტიკების განლაგება, რომლებიც ჩვენი ირმის ნახტომის მახლობლად იმყოფება, საშაოდ დეტალურად იყო შესწავლული. ფრანგი ასტრონომი ჟოკუდერი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ კაჟაშა (ჩვენივე მახლობელი) გალაქტიკების ურავლესობა და ბევრი სხვა წარმოადგენს წევრებს ბრტყელი სისტემების.

რომელსაც მან ადგილობრივი ზეგალაქტიკა უწოდა. მისი სიბრტყე ჩვენი გალაქტიკის სიბრტყის მიმართ დაახლოებით მსგავსად არის კუთხით.


ჩვენი გალაქტიკა მოთავსებულია ამ გროვის განაპირა ნაწილში, რთაც აიხსნება გალაქტიკების სიმაღლე ქალწულის თანავარსკვლავედის მიმართულებით (ადგილობრივი ზეგალაქტიკის ცენტრი განლაგებულია ამ თანავარსკვლავედის მიმართულებით). კაჟაშა გალაქტიკების მტკიცე დიდი რიცხვი ცის ჩრდილო ნახევარსფეროში საშარბო ნახევარსფეროსთან შედარებით, ბუნებრივია, იმით აიხსნება, რომ ქალწულის თანავარსკვლავედი ჩრდილო ნახევარსფეროში მდებარეობს.

ადგილობრივი ზეგალაქტიკის დამბარე ნავარსკვლავთა მან შეგაპარსეთი, ხოლო მისი მასა შეადგენს დაახლოებით 10¹⁵ მზის მასას. იგი ბრუნავს ღერძის გარშემო, რომელიც პერსიდული სიჩქარითაა მისი სიბრტყისა, ამასთან ბრუნვის პერიოდი ცენტრალურ ზონისათვის 6.10¹⁰ წლიდან იცვლება 25.10¹⁰ წლამდე განაპირა უბნებისათვის. ჩვენი გალაქტიკა ასევე მონაწილეობს ადგილობრივი ზეგალაქტიკის ბრუნვაში.

ავტომატური-დრეჟინა

აშშ-ში დააგვირგნენ ავტომატური-დრეჟინა, რომელიც მოხერხებულად წყვეტს ტრანსპორტის ზოგერთ ამოცანას. ავტომატური-დრეჟინის მეშვეობით შესაძლებელია რკინიგზის დთავლიერება, რკინიგზიდან საავტომოტოში ავტომოტოს გადაყვანა და ა. შ.

დრეჟინა-ავტომატური კათვლისწინებულა 8 კაცისათვის.



ავტომატური შედის რელსზე, ცნობის დაქრის შემდეგ პიდრავლიკის მეშვეობით რელსების თავზე ეშვება პატარა სარინგაზო თვლები კინტებით და ცოტათი აიწევა ავტომატის ძარა.

ახალი მინამზერი მანქანა

როგორც გავითი „აგრონელ ოფ კომპერს“ იუწყება, ამერიკელმა ფირმამ „მოდერნ პლანტი მანერის“ მინის ჭურჭლების დასაწარმოებლად დაავადებარა მანქანა „დევიდ-სამატი V-21 OHP“ დეუსის ტიპის აქუმულატორებით.

აქუმულატორები დაუწყებლად მანქანას ყოველ ორსავე პოლიკაზე ექსტრუზულ თავს და ფორმას შორის და უზრუნველყოფს მასლის უწყვეტ მიწოდებას დიდი წნევის ქვეშ. ერთი ფორმა იცნება გაცივების პროცესში, ხოლო მეორეზე ამავე დროს გამოყარდება მზა ნაეთობა. ეს საშუალებას იძლევა სხვადასხვა ტიპის ჭურჭელი დამზადდეს ყოველ პოლიკაზე, ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში ერთი პოლიკის გამოყენება შეიძლება დამზადებაზე, ხოლო მეორისა — ნაეთობის კონტროლისათვის.

ალმასზე სალი

70 ტონაზე მეტი ერთ კვ. სმ-ზე სახელდობრ ასეთი წნეგით და 1648° ტემპერატურის დროს ფრანგი სწავლულები გვთავაზობენ ბოროს ნიტრატის დამუშავებას, რომ მიღებულ იქნეს ალმასზე უფრო სალი ნივთიერება.

„ბორაზონი“ — ესაა სხვადასხვა ფერის კრისტალური ნივთიერება, რომელშიც ბორისა და აზოტის სპირისპიროდ დამზადებული ატომები თითქმის ისევე მიეცემა ერთმანეთთან შეერთებული, როგორც ნახშირბადის ატომები ალმასში. „ბორაზონი“ კრისტალები ქვიშის მარცვალზე დიდი არაა, მისი კუთრი წონაა 3,45.

„ბორაზონი“ ხაზს ტოვებს ალმასზე და უდრის თითქმის 2000° ტემპერატურას. ახალ ნივთიერებას შეუძლია ტენიანობა შეცვლის ალმასი.

დეშეტორი — გამაქლიერებელი

როგორც, ინგლისური ყოველდღიური „ილუსტრეიწის უიკლი“ იუწყება, ფირმამ „მარკონი უაირლეს ტელეგრაფ“ დაამუშავა სქემა, რომლის გამოყენება შეიძლება როგორც გამაქლიერების, ასევე დემეტრის სახით. სქემა შესრულებულია ტრანზისტორზე და აქვს დონის ჩადგომები რეგულირება მინიმალური ხმაურითა და დამაინტეგრობით.

გამოსაღები დევიატორა ჩართულია კოდექტორის წრედში ძალქიერების რეგულირებისათვის. კოდექტორსა და დემეტრის შორის ჩართულია პოტენციომეტრი და კონდენსატორი. პოტენციომეტრის ძვრა შეერთებულია მაღალ ძაბვასთან. როცა ძვრა პოტენციომეტრის ბოლოზე იხრება და პოტენციომეტრი კოდექტორთან ახლოსა, სიგნალის დონე მინიმალური იქნება.

სქემის დეტექტორულმა ნაირსახეობამ შეძლება მისცეს ძაბვა ძალვის ავტომატური რეგულირებით შუალედური სიხშირეების კასადების კონტროლისათვის.

ზამქარული თვითმფრინავის პროექტი

ამერიკელი ავიაციონსტრუქტორები სწავლობენ „რაშეიტის“ ტიპის ძრავას გამოყენების შესაძლებლობას სატრანსპორტ საჰაერო ხომალდებისათვის, რომლებსაც უნარი ექნება იფრინოს საათში 3200-მდე კმ-ის სიჩქარით. 1-ლ ნახ-ზე მოცემულია მომავლის ზეტქარული სატრანსპორტ თვითმფრინავის გარე ზედი „რაშეიტის“ ტიპის ძრავებით.



ნახ. 1



ნახ. 2. 1—საწვავის რეგულატორი, 2—საწვავის ტუმბო, 3—მაღლებელი, 4—საწვავის ფრქვევანი, 5—წვის კამერა, 6—გამომბოლქვი საწვენი

„რაშეიტის“ ტიპის ძრავა წარმოადგენს ორივე მხრიდან ღია ლითონის მილს. შერტი მასში „რაშეიტის“ ატმოსფერული თვითმფრინავის გადღებულმა სიჩქარით მოძრაობის დროს. მოხდება 3-ს მილი, იგი იკუმშება ჰერის მასაღის წნეგით. შემდეგ შერტივა საწვავთან და ააღდება წვის კამერაში. მე-2 ნახ-ზე მოცემულია „რაშეიტის“ ტიპის ძრავას ჭრალი.

ავიაციამანია „მარკვარდის“ ზედმდგენელთა აზრით, „რაშეიტის“ ტიპის ძრავას მქონე ზეტქარული თვითმფრინავი გამოჩნდება არა უადრეს 1970 წელს.

ნეიტრონული მიკროსკოპი

ნოკაის (იაპონია) უნივერსიტეტის პროფესორმა იოსირო კაიშურამ წამოაყენა კონსტრუქცია ნეიტრონული მიკროსკოპის,

რომელიც საშუალებას იძლევა უფრო ტყუილად იქნეს გამოვლენილი ლითონებისა და სხვა მასალების შიგა აგებულება, ვიდრე ეს ზედმოდა აქამდე რენტგენის სხივების მეშვეობით. აქამდე ისაა, რომ ნეიტრონებს ახასიათებს ათასჯერ უფრო მეტი შეღწევის უნარი, ვიდრე რენტგენის სხივებს და ნაკლებდ შეიძლება იმ მასალისავე, რომელშიც იგი გადის.

თავისი კონსტრუქციით ახალი მიკროსკოპი რენტგენული მიკროსკოპის ანალოგიური იქნება. მას ექნება ჩანქილი ლინზები, გამოსახულება რენტგენის სხივებით იქნება ფოტოგრაფიულმა ზერბით შერად ფირფიტაზე ირიდოლის აფსკას მეშვეობით.

პირი წმინდა სომალს

ინგლისში დამუშავებულია ზომაღლის წყალქვეშა ნაწილის გაწმენდის ახალი მეთოდი. სპეციალური ვასატრქვევი მოწყობილობა ზომაღლის კოპალის ზედაპირზე წარმოქმნის პერსის და მასში შერეული შხამიანი ხსნარისა და ნავთის მრავალ ბუშუტლებს. ამ ხსნარში არის აგრეთვე კიბურა დაწამატ, რომელიც ეწინააღმდეგება წყლის კონტაქტს კოპალის ზედაპირთან. შედეგად ზომაღლის წყალქვეშა ნაწილზე ჩამოყალიბდება შერე, რომელიც შხამიანია ზღვის მიკროორგანიზმებისა და ნივარებისათვის.

ასეთი გაწმენდის შემდეგ ზომაღლის კოპალს არ ჰქონდება შეღება და წელიწადნახევრის განმავლობაში სუფთა რჩება.

საშუაპირი სინთეტიკისკავი

სამხრეთ კალიფორნიის ინჟინრებმა დაამუშავეს პრუქტი ორგანოალური კასხალისა, რომელიც მოხდენს წყლის დონის რეგულირებას ლის-წნეველის მასლიოდ არსებულ წყალსაცავში. ესაა ნეოპრენ-ნეოლორისაგან დამზადებული ზუდური ბილია, რომლის სიგრძეა 15 მ, დიამეტრი — 9 მ და კედლის სისქე 3,2 მმ. მილი იცნება წყლით, იბერება და კეტავს წყალსაცავის გამოსახულებს. თუ დონე აიწევს — წყლის ნაწილი მიდღენ ავტომატურად იქნება გაშვებული, კასხალი „შეიკუმშება“ და გზას მისცემს წყალსაცავში დგარიოდ ზედმეტ წყალს. როცა წყლის დონე ნორმალურად გაზღბდა — მილი ზედაა ავტომატურად იცნება და ისევ შეიპრულებს ზუდუარის როდს.

ქვეყნისათვის დასვენება

უკანასკნელ ხანებში ელექტრონიკის საშუალებათა არსენალში გამოჩნდა ბევრი ახალი ხელსაწყო, რომლებიც მიწყობილობით არტუტ ისე რთულია, მაგრამ ფრიად მნიშვნელოვანია და საინტერესო შესაძლებელ გამოყენებათა სიმრავლით მეცნიერების, ტექნიკისა და ყოფა-ცხოვრების სრულიად სხვადასხვა დარგებში. ქვემოთ მოყვანილია ზოგიერთი მაგალითი — ლოგატრონის, სოლიონისა და ტემპერატურის აღწერა.

ლოგატრონი—ხელსაწყო სიკაეთების მდებარეობის გაჭრვისათვის

რენტგენოგრაფიის ანალიზი დიდ ყურადღებას მოითხოვს იმისაგან, ვინც მას ატარებს.

ჩვეულებრივ რენტგენოგრაფიაზე ქსოვილები სრულიად არ ჩანს: ნათლად რომ გამოჩნდეს მასზე რომელიმე ორგანო, საჭიროა სპეციალური სითხის საშუალებით გაგზავლო ისინი გაუმჭვირავი, ხოლო თუკი ხერხდება, რომ რბილ ქსოვილს გაგზავნი შესაშინევს, მაშინ ძვლები გარდაიქმნება მხოლოდ სილუეტებად და მათი შესწავლა შეუძლებელი ხდება. იმისათვის, რომ დაეკვირდეთ გაღაღებული სხეულის ნაწილის საერთო სურათს, აუცილებელია გვეჩვენოს ორი სურათი: ერთი, დამზადებული მეტად „მაგარი“ რენტგენული სხივების საშუალებით. რომელთაც შეუძლიათ გვაჩვენოს ყოველი დეტალი ძვლებში, და, მეორე, „რბილი“ სხივების მეშვეობით, რომლებიც ქსოვილებით იმდენად

კავდება, რომ შეუძლიათ მათი გამოსახულების მოცემა.

ყოველმა ფოტოგრაფმა იცის რა ცუდია, როცა ერთსა და იმავე სურათზე ერთმანეთის გვერდით აღმოჩნდება უბნები, რომლებიც განთავსებულია მზით, და უბნები, რომლებზედაც მკვეთრი ჩრდილია დაცემული. ამ შემთხვევაში დამაკმაყოფილებელი სურათის მიღება შეუძლებელია. თუ ვგებუდით ნათელ უბნებზე დეტალების მიღების ვარაუდით — ყველაფერი, რაც იყავი ჩრდილში, სრულიად შავი ხდება, ხოლო თუ პირიქით ვებუდით ისე, რომ ადვილი იყოს მუქი უბნების გაჩვენება, — მზით განთავსებული ადგილები გამოდის, როგორც ფოტოგრაფები ამბობენ, „ჩაქოსებრი“.

რა თქმა უნდა, შეიძლება ვცადოთ გამოვჩენთ რაღაც ცუდ სურათებსაც. ამისათვის გამოსახულების ყველაზე ნათელი უბნები გადიდებისას რამდენიმე ხნით იხურება სინათლი.

საგან იმ მიზნით, რომ შემოვლინდეს შეუძლებელი სურათები, მაღალიმეტალო უბნები.


ბუნებრივია, რომ ყოველი ფოტომაყარული ოცნებობს იმაზე, რომ გამოსახულების ბნელი უბნების დასაფარავად ჰქონდეს ისეთი მოწყობილობანი, რომლებიც ყოველთვის სავსებით შესაბამება მათ ფორმას.

აშშ-ში ინჟინერმა დივე კრეიგემ რამდენიმე წლის წინათ სურათების ავტომატური ბეჭდვისათვის წამოაყენა „ლოგატრონი“, რომელმაც უნდა გადაჭრას ეს პრობლემები.

რა არის ელმეტრონული გამდგამ?

ახალი მეთოდით ბეჭდვის მთავარი თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ იმ სინათლის წყაროს გამოყენების ნაცვლად, რომელიც თანაბრად ეცემა მთელ ნეგატივს, მიმართვენ, ისევე როგორც ტელეგამდგამში, გამოსახულების გაშლის ძალის მეორე დიამეტრის სინათლის კონის საშუალებით.

უმაღლე გასაგები ხდება, რომ ამ შემთხვევაში სინათლის კონის ინტენსიურობა შეიცვლება ნეგატივში გამოსახულების ცალკეული უბ-



ზემოთ: ნეგატივის პირის გაღებისას მიიღება კონტრასტული გამოსახულება ქვემოთ: უკუაგზავრის შედეგად საშუალებას იძლევა შეიზღუდოს კონტრასტულობა, გაუმჯობესდება რა დეტალები გამოსახულების ჩრდილსა და სინათლეში



ნების სიმკვრივის შესაბამისად. ამ მიზნით ნეგატივი და ფოტოქალაღი თვისდება არა ჩვეულებრივ ჩარჩოში, არამედ მინაზე. ჩვეულებრივ, ქალაღი საკმაოდ გამჭვირავლეა იმისათვის, რომ სინათლის რაღაც ნაწილმა შეძლოს მისში გაღლა.

მინის ქვეშ დაყენებულია ფოტოელემენტი, რომელიც თვალყურს აღვენებს ნეგატივზე სინათლის ლაქას მოძრაობას და ყოველ მოცემულ მომენტში განსაზღვრავს მის ინტენსიურობას. ეს უკანასკნელი დამოკიდებულია ნეგატიური გამოსახულების სიმკვრივეზე წერტილში, რომელშიც გადის სინათლის კონა. თუ ჩვენ ბევრადვე სინათლისავე ზურგით მდგარ მეთხილაბურეს, მიიღება ის, რომ, როცა სინათლის სხივი გადის ნეგატივის ყველაზე ბნელ უბნებზე, ფოტოელემენტზე დაეცემა მეტად მცირე სინათლე. და პირიქით: მეთხილაბურის გამოსახულების ნათელი უბნების გავლისას სინათლის კონა ფოტოელემენტში დენის უფრო ძლიერ იმპულსებს გამოიწვევს.

ფოტოელემენტისაგან გამოშვალად და გაძლიერებული დენი კონტროლს უწევს გადასაღები ნათურის ნათების ინტენსიურობას, ანუ, კიბერნეტიკის ენით — რომ ვთქვათ, ადგილი აქვს „უარყოფით უკუკავშირს“ — სურათში გამავალ ნათურის სინათლესა და ამ სინათლის გამომსხივებელ დენის წყაროს შორის. თუ ფოტოელემენტი იღებს მეტისმეტ ბევრ სინათლეს, მაშინ „უკუკავშირის“ მექანიზმი წაიღებს სინათლის ნაბერს, შეამცირებს რა კონის ინტენსიურობას; ხოლო თუ ფოტოელემენტი იღებს არასაკმარის სინათლეს, მაშინ მექანიზმი დაუმატებს მას კონის ინტენსიურობის გაძლიერებით. ყველაფერი ეს პრაქტიკულად მეყსეულად ხორციელდება.

საბოლოო ჯამში ავტომატური გზით მიიღება ის „კომპენსირებული“ ბეჭდვა, რომელზედაც ჩვენ მხოლოდ ბუნდოვანად ვოცნებობდით და რომლის განხორციელებასაც უზერიოდ ცდილობდა ჩვენი ხელი. მაგრამ ჩვენ მიერ აღწერილმა მოწყობილობამ თითქმის უნდა მოგვეცეს იმდენად სრულყოფილი კომპენსაცია, რომ მიღებული პოზიციური ნაბეჭდვი იყოს მთლიანად ნაცრისფერი — ბეჭდვის პროცესში მისი პოზილი იყოს ნეგატივის უწერილესი კონტრასტები, რადგანაც ჩვენს ფოტოელემენტს „სურს“ ყოველთვის მიიღოს სინათლის ერთი და იგივე რაოდენობა.

მაგრამ სინამდვილეში, როგორც ჩანს, ბნელი და ნათელი უბნების აბსოლუტური კომპენსაცია არ ხდება. კორექტირება მიმდინარეობს ფოტოელემენტში გავლილი სინათლის კონის ინტენსიურობის ლოგარითმის თანახმად. ამიტომაც აპირატს „ლოგარითმი“ ეწოდება.

აქამდე გამარტივების მიზნით ჩვენ გამოიბდით, რომ ზემოქმედებას ვახდენდით ჩვეულებრივ ვარვარების ნათურაზე. სინამდვილეში კი მისი ნათება არ შეიძლებოდა მართვადი ყოფილიყო აუცილებელი სიზუსტითა და სისწრაფით, სიტემა იქნებოდა მეტისმეტად ინერტული. ამიტომ ნათურის ნაცვლად იყენებენ ელექტრონ-სიციურ (კათოდურ) მილას.

მსაგავსება თვალის მექანიზმთან

გასაოცარია ის, რომ სურათის ნათელი და ბნელი უბნების კომპენსაცია არ წარმოადგენს ერთადერთ დავებით ეფექტს მოცემული აპარატის საშუალებით ბეჭდვისას. ადგილი აქვს საიდუმლო გამოჩენას მთელი რიგი დეტალებისას იქ, სადაც აღმანიის თვალი მათ ვერ ხედავდა. დავათვალიეროთ ნეგატიური სურათი ვანათებული მჭრქალი მინის

წინ. ჩვენ არ შეგვიძლია მარჯვ/გავარჩიოთ ყველა დეტალი, მაგრამ მეტად ნათელ უბნებზე სინამდვილეში ნება მეტისმეტად კაჟავა, ხოლო მეტად ბნელ უბნებზე — მეტისმეტად სუსტი.

ახლა ჩვენი ნეგატივი დავათვალიეროთ ვარვარების ნათურის წინ, თანაც იგი მოვათავსოთ იმგვარად, რომ ნათურის მნათი ძაფი აღმოჩნდეს რომელიმე ძლიერ ბნელი უბნის ზუსტად უკან. ჩვენ დავინახავთ, რომ სინამდვილეში ამ უბანზე სხვადასხვა წვრილი დეტალების დიდი რაოდენობაა. ამის შემდეგ ჩვენი ნეგატივი მოვათავსოთ მეტად მკრთალი სინათლის წინ და ჩვენ დავინახავთ მრავალ წვრილმანს იმ უბნებზე, რომლებსაც აბსოლუტურად გამჭვირვალედ ვთვლიდით.

როგორც ჩანს, სასწაული აქ არაა. უბრალოდ იძულებული ვხდებით ვალიაროთ, რომ ჩვენი თვალი არცთუ ისე სრულყოფილი ხელსაწყოა და რომ ელექტრონული ბეჭდვა გაცილებით უფრო ეფექტურია, ვიდრე ჩვეულებრივი აღმანიის მხედველობა.

გამოყენება მედიცინაში

რენტგენოსურათები, რომლებიც აჩვენებს ერთდროულად ძვლებსაც და რბილ ქსოვილებსაც, ფრიალ კონტრასტულია: მათი ბნელი უბნები ზეტისმეტად შავია, ხოლო ნათელი — მეტისმეტად გამჭვირვალე. აქედან გასაგები ხდება, რომ მხოლოდ ლოგარითმის შეუძლია მოგვეცეს ერთდროულად ინფორმაცია სურათის როგორც ბნელ, ისე ნათელ უბნებზე.

იქ, სადაც ხერხემალი ჩანდა მხოლოდ ჩრდილივით, რომელსაც ჰქონდა სილუეტი, ახლა გამოჩნდება ცალკეული მალები მრავალრიცხო-

განი წვრილმანით. რბილ უბნებზე გაჩნდება ვენები და ამასთანავე ძვლები სრულიადაც არ მოგვეჩვენება უფრო მომასად.

იმისათვის, რომ გაძლიერდეს ან შესუსტდეს გამოსახულების კონტრასტულობა, ამიერიდან აუცილებელი არაა წორჩეულ იქნეს პოზიტივის (რბილი, ნორმალური, მაგარი ან მეტად მაგარი) კონტრასტულობა ნეგატივის შესაბამისად. ამ ფუნქციას შეასრულებს თვით სინათლე.

აქედან ვასაგები ხდება ლოკატორის შესაძლებელი გამოყენების მთელი სივრთოვე. იგი წარმოადგენს აპარატს ნებისმიერი ფოტოდოკუმენტის ბეჭდვისათვის და იძლევა ყოველთვის საუკეთესო შედეგს. ეჭვი არაა, რომ დადგება დღე,

როცა ბეჭდვის თანამედროვე საშუალებები მოგვეჩვენება გაუზარალებლად გაუმრავლებული და ბარბაროსულიც კი.

ამჟამად იქნება საბეჭდი ლოკატორი ფერად რენტგენოგრაფიაში მისი გამოყენებისათვის. იგი მოგვცემს სხვადასხვა ფერის სინათლის კონას განათების ინტენსიურობის შესაბამისად, ე. ი. იმის შესაბამისად, იქნება თუ არა ნეგატივი ბნელი ან, და ნათელი. მაგალითად, პოზიტივის ბნელი უბნები ან ძვლები, რენტგენოსურათზე დაბეჭდილი იქნება ცისფრად, ნათელი უბნები (ყუნთვები) — ვარდისფრად; ამით მიიღწევა რელიეფურობის უფრო მეტი შთაბეჭდილება.

მომავლის მანქანების აპუაკი

ცოტალ ორგანიზმში ყველაფერი უჩრდებისაგან შედგება. უჩრდელში დაფარულია უზარმაზარი შესაძლებლობა: კონსტრუქციის მცირე ცვლილების დროს — სწორედ კონსტრუქციის და არა პრინციპის! — იგი ასრულებს რთულ ფუნქციას. რასაც ვხვდებით რომელიც გენებზე მანქანის მოწყობილობაში.




ამჟამად მეცნიერებმა და ინჟინრებმა შექმნეს ახალი ხელსაწყო — სოლიონი, რომელსაც სხვადასხვა კონსტრუქციულ ვარიანტებში შეუქმნია შესაბამისი სიგნალების გადაცემის, გამაძლიერებლისა და ძრავის როლი. აღსანიშნავია ის, რომ ეს ელემენტი თავისი ფიზიკური ბუნებით აღმოჩნდა ცოცხალ უჩრდელის მსგავსი: იგი არაა ელექტრომექანიკური, არც ელექტრონული, არამედ იონური; ელექტრული პროცესები იქ ზოროცილდება არა ნახევარგამტარებსა და გამტარებში — ლითონებში, არამედ თხევად გარემოში, მარილთა ხსნარში. იმედია, რომ რა-

დიოტენიკასა და ავტომატიკას, გარდა ელექტრონიკის საშუალებებისა, შეეძლებათ ისარგებლონ ტექნიკის ახალი დარგით, რომელსაც შეიძლება ვუწოდოთ „იონიკა“.

სწორედ რომ ვთქვათ, სერიოზული ელექტრონიკა დაიწყო სწორედ იონიკით — გაღვანური ელემენტების — დენის წყაროების — აგებით. სოლიონი ჰგავს ელემენტს: მასაც გააჩნია ელექტროლიტში ჩაშვებული ორი ელექტროდი, მაგრამ მათ შორის ფოროვანი ტიხარია, რომელშიც გადის იონები, მოძრაობს რა ერთი ელექტროდიდან მეორისაკენ.

მრავალმა გარეგანმა მიზეზმა შეიძლება გავლენა მოახდინოს იონური ნაქადის მოძრაობაზე. ასე, მაგალითად, ხელსაწყოზე რომ მივმართოთ სინათლის სხივი, ხსნარში იონების რაოდენობა გადიდდება და დენი ელექტროდებს შორის გაიზრდება. დენი შეიცვლება, თუ გახურებისას ხსნარში დაიწყება კონვექციური ნაკადები ხელსაწყის გახურებულსა

და გახურებულ მატერიალის. თუ ხელსაწყის გაღვანურება მოქნილს გადავქცევთ, ძივლებით ასეთივე დენებს კედელზე დაჭირებით ან მასზე ჰერის ბგერითი ტალღების ზემოქმედებით. მაშინ სოლი-



ქემებზე: სოლიონის მუშაობა განაეხლებულია ცვლილებისას. ზემოთ: დაბნელებულ სოლიონში მოლეკულების ნაწილი იონებად არ იშლება და არ მონაწილეობს კათოდიდან ანოდზე ელექტრონების გადაცემაში. განათებულ სოლიონში იონების რაოდენობა იზრდება (შუაში) და შესაბამისად იზრდება ელექტროდი დენი ელექტროლიტში (ქვემოთ)

ონს შეუძლია იმუშაოს ტენზოგადამცემისა (წნევის საზომი ხელსაწყო) და მეტროფონის როლში.

ფოროვან ტიხარზე პოტენციალის შეცვლა იწვევს ელექტროდებს შორის დენის გამძლიერებულ შეცვლას, რა სოლიონი მუშაობს როგორც ჩვეულებრივი გამაძლიერებელი რა-

დიომილაკი — ტრიოდი. ტიხარი მილაკში ბადის როლს ასრულებს. იგი აჩქარებს და ანელებს იონების მოძრაობას.



განსაკუთრებით საინტერესოა სოლიონ-ძრავის კონსტრუქცია, რომელიც დაფუძნებულია ელექტროსმოსის მოვლენებზე. აქ უარყოფითი იონები რჩება ფორების კედლებზე, ხოლო დადებითები გადის ზელსაწყის ერთი ნახევრიდან მეორეში და ქმნის წნევათა სხვადასხვაობას. ამა-

სთან ზელსაწყის ერთ-ერთი მოქნილი კედელი გამოიბერება, მეორე კი შეიზიდება შიგნით — ელექტრული ენერგია გარდაქმნება მექანიკურ მოძრაობად.

შეგვიძლია იმედი ვიჭოროთ, რომ მალე გამოჩნდება სხვადასხვა დანიშნულების მქონე სოლიონების მთელი გაჭედი, იქნება სოლიონური მანქანებიც, შედგენილი ერთნაირი აგურაგებ-ელემენტებისაგან, რომლის იდეაც ცოცხალმა ბუნებამ გვაცარნახა.

საე უჰრო და უჰრო ნაქაბი და მძაღრი

მოვლენა, რომელზედაც დაფუძნებულია ტექნეტრონის მოქმედება, უკვე არც ისეთი სიახლეა. ჯერ კიდევ 1928 წელს იქნა გაცემული პატენტი „ველის ეფექტის“ აღმოჩე-



ნაზე. აღმოჩნდა, რომ გოგირდოვანი სპილენძის ფენით დაფარული ნახევარგამტარის ფირფიტაში გამავალი დენის მართვა შეიძლება ხაილენძის ელექტრული პოტენციალის შეცვლით.

ტექნეტრონის გამოგონებელმა ტეშენერმა ფირფიტის ნაცვლად გამოიყენა ცილინდრული ფორმის ნახევარგამტარი, რადგანაც მრგვალი კვეთისას ველის ეფექტი გამოვლინ-

დება ხოლმე ვაცილებით ძლიერ.

ტექნეტრონს აქვს 2 მმ სიგრძისა და 0,5 მმ-ზე ნაკლები დიამეტრის მქონე ჰაუაწინა ღეროს სახე, რომელიც დამზადებულია გერმანიუმისაგან ელექტრონული გამტარობით. ამ ღეროზე გაკეთებულია ღრმა წრიული ამონადება, რომელიც მის დიამეტრს ამცირებს 0,04 მმ-მდე. მიღებული ყელს ირგვლივ დატანილია ინდიუმის თხელი შრე.

მიიღება ნახევარგამტარული გამაძლიერებლის უკვე ცნობილი სქემა. ღეროს ერთ-ერთი ნაწილი ასრულებს კათოდის როლს ელექტრონების წარბი რაოდენობით, მეორესთან მოდებულა დადებითი პოტენციალი და იგი გამოიყენებულია ანოდად. ინდიუმის რგოლი ასრულებს ბადის როლს ვაკუუმურ ტრიოდში. ელექტრული თვალსაზრისით ღეროს კვეთში არჩევენ სამ კონცენტრიულ შრეს. გარეში ადგილი აქვს თავისუფალი ელექტრონების კონცენტრაციას. შემდეგ მიდის შრე „ზერეტილვანი“ გამტარობით და ბოლოს ღერძის მახლობლად გერმანიუმის

შრე, რომლის ატომებს ჯერ კიდევ არ დაუქარგავთ მათი ელექტრონები.

ელექტრულ წრედში ღეროს ჩართვისას დენი ზერეტილვან გამტარიან ფენაში არ გადის. მას შემუძლია გავლა მხოლოდ ღეროს გულში. მაგრამ იმ დაძაბულობის გაზრდისას, რომელიც მოდებულია ინდიუმის რგოლზე, არავამართა შრე ზერეტილვანი გამტარობით თითქოს მსხვილდება გამტარი გულის ხარჯზე. ამგვარად, რხევები სუსტი დენისა, რომელიც მიყვანილია ინდიუმის რგოლიდან, იწვევს ღეროში გამავალი უფრო ძლიერა დენის ცვლილებას. ამის შედეგობით ზელსაწყის გამოსავალიან მიიღება გაძლიერებული და მოდულირებული დენი, ისევე როგორც ამას ადგალი აქვს გამაძლიერებელ ელექტრონულულაქებში.

ახალი ზელსაწყო შესანიშნავია იმით რომ, ინარჩუნებს რა ტრანზისტორის ყველა უპირატესობას, მას პრაქტიკულად შეუძლია მუშაობა ყველა სიხშირეზე, რომლებიც გამოიყენება რადიოში, ტელეგდებასა და რადიოლოკაციაში. მისი სიმძლავრე პრაქტიკულად განუსაზღვრელია, რადგან რამდენიმე ზელსაწყო შეიძლება ჩაირთოს პარალელურად.

მინიატურული ელექტრონული მილაკებიდან ყველაზე პატარაა კი რჩება „გოლიათად“ ტექნეტრონად წოდებულ 2X0,5 მმ ზომების მქონე გერმანიუმის ღეროსთან შედარებით. იგი იმდენად მცირეა, რომ მისი დამზადების ტექნიკა საათის ოსტატს უფრო ეხება, ვიდრე ელექტრონიკას.


(შემოკლებული თარგმანი ფრანგული ჟურნალიდან „სიენს ავენირ“)

საქართველოს
ზოგადი ინფორმაცია


ლოგატრონი




სოლიონი



ტექნოლოგია





VII. კლავშური ზონარის არამდგრადობის სამი სახე:
ა) გაღრმვა; ბ) გაწევა; გ) გაღრმვა

VIII. გაწევის შედეგად ჰერმეტიკის საფარიდან გამოსვლის შემთხვევა

«**დაბოროტებული**»



(თარგმანი რუსული მაგნიტური სავარგისი)

ჯ. ლმინაძე 6. მინაძე

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ახალი პროგრამა, რომელიც მიიღო პარტიის XXII ყრილობამ, სახავს ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური აზროვნების გრანდიოზულ გეგმას. მასში მოცემულია კომუნისტური მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის გზები და პერსპექტივები.

კომუნისტური მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნაში უდიდესი როლი ენიჭება მეცნიერებასა და ტექნიკის განვითარებას. მეცნიერების და ტექნიკის პროგრესი საშუალებას იძლევა ყველაზე ეფექტურად გამოვიყენოთ ბუნების სიმდიდრე და ძალები, აღმოვაჩინოთ ახალ სახეობათა ენერგია და ჩაეყვანოთ ის ხალხის სამსახურში. მეცნიერების განვითარება და სახალხო მეურნეობაში მისი მიღწევების დანერგვა კვლავაც იქნება პარტიის განსაკუთრებული ზრუნვის საგანი.

მეცნიერებისა და ტექნიკის პროგრესის შემდგომი პერსპექტივები უწინარეს ყოვლისა განისაზღვრება ბუნებისმეტყველების ისეთი წამყვანი დარგების განვითარებით, როგორიცაა მათემატიკა, ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია და სხვ.

ახალი სახის ენერგიის ათვისების ერთ-ერთ ძირითად საკითხს წარმოადგენს თერმობატომოვლის რეაქტივების მართვის პრობლემების გადაჭრა.


ცნობილია, რომ მზისა და ვარსკვლავების ენერგიის მთავარ წყაროს თერმობატომოვლი რეაქტივები წარმოადგენს. ეს რეაქტივები მიმდინარეობს მსუბუქი ელემენტების — დეიტერიუმის ბირთვების ან დეიტერიუმისა და ტრიტოუმის ბირთვების შერწყმისას, რომლის დროსაც გამოიყოფა უზარმაზარი ენერგია. ამიტომ ბუნებრივია, რომ კაცობრიობას უკვე დიდი ხანია აინტერესებდა ზელოვანი მზის შექმნა დედამიწაზე. ეს საკითხი გამჭვირვალე იყო ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე*. აქ კი საუბარი გვექნება იმაზე, თუ როგორ შეიძ-

ლება ამის პრაქტიკულად განხორციელება. მთავარი ამოცანა ისაა, რომ მოინახოს სხვადასხვა მეთოდები დალატებულმატურაირი პლაზმის მისაღებად და მის შესანახად.

პლაზმა წარმოადგენს ნივთიერების ისეთ მდგომარეობას, რომელიც შედგება ელემენტარებისა და დადებითად დამუხტული ნაწილაკებისგან. ასეთ ნარევს გააჩნია დიდი კინეტიკური ენერგია, ამიტომ აუცილებელია დიდი სიჩქარის მქონე აირის ნარევის შეკავება გარკვეულ მოცულობასა და დროში, რომ ნაწილაკების უმეტესმა რაოდენობამ მონაწილეობა მიიღოს სინთეზის რეაქციაში. ასეთი გავარვარებული აირის შესაყავებლად (პლაზმის თერმობატომოვლირება) გამოიყენებულ იქნეს მაგნიტური ველი. მზესა და სხვა დიდ ვარსკვლავებზე პლაზმის შეკავება ხდება გრავიტაციული ძალებით, რომლის სიდიდე კოსმოსურ სივრცეში მეტად საკმარისია. ლაბორატორიულ ცდებში გრავიტაციული ძალეები უმინიმუმაცა; მაგნიტური ველის წნევას კი შეუძლია იმოქმედოს პლაზმის დამუხტულ ნაწილაკებზე და მოახდინოს მათი იზოლირება ჭურჭლის კედლებისაგან. იმისათვის, რომ ნათელი გახდეს მაგნიტური ველის მოქმედება გავარვარებულ აირზე, საჭიროა გაივსენოთ დამუხტული ნაწილაკების მოძრაობა მაგნიტურ ველში.

განვიხილოთ დამუხტული ნაწილაკების მოძრაობა ცილინდრულ ჭურჭელში. როდესაც მაგნიტური ველი არა გვაქვს (ნახ. 1ა), ნაწილაკი მოძრაობს სწორხაზოვანი ტრაექტორიით და მისივე ეჯახება ჭურჭლის კედლებს. თუ ჭურჭელი მოთავსებულია ერთგვაროვან მაგნიტურ ველში (ნახ. 1ბ), მაშინ, როგორც ცნობილია, მაგნიტური ველის ძალაზღვრის პერპენდიკულარულ სიბრტყეში ნაწილაკი მოძრაობს წრეხაზზე, რომლის რადიუსი ნაწილაკის მასის პროპორციულია. თუ, ამის გარდა, დამუხტულ ნაწილაკს გააჩნია სიჩქარის მდგენელი მაგნიტური ველის გასწვრივ, მაშინ იგი იმოძრაავს ხაზხაზულ ხაზზე მაგნიტურ; ძალაზღვრის გასწვრივ; ამგვარად ნაწილაკებს

* იხ. „მეცნიერება და ტექნიკა“, № 8, 1961 წ.



ნახ. 1


აღარ შეუძლია თავისუფლად მოძრაობა ტურბულენსი, მაგნიტური ძალხაზების განივი მიმართულებით. თითოეული ნაწილაკი ამ დროს „მიჯაჭვულია“ მაგნიტურ ძალხაზთან. როდესაც ტურბულენსი მაგნიტური ველი არაერთგვაროვანია (ნახ. 1გ და ვ), მაშინ ნაწილაკი იწყებს „დრიფტს“ (მოძრაობას) ზემოდან ქვემოთ ან ქვემოთ ზემოთ, მუხტის ნიშნის შესაბამისად (ტურბულენსი მარჯვენა მხარეს მაგნიტური ველი უფრო ძლიერია, ვიდრე მარცხენა მხარეს). ეს გამოწვეულია იმით, რომ ნაწილაკის სიმრუდის რადიუსი განუწყვეტლივ იცვლება ველის არაერთგვაროვნების გამო.

ყველა შემთქმელის შედეგად შეგვიძლია გავაკეთოთ დასკვნა, რომ მაგნიტური ძალები ერთადერთი საშუალებაა იმისათვის, რომ შევქოთთ გავარკვებული პლაზმის შეკავება განსაზღვრულ მოცულობაში. მაგრამ მაინც როგორ შევექმნათ ასეთი „მაგნიტური ბოთლი“? მეტად პერსპექტიული აღმოჩნდა უბრალო შეუმჩნეველი ელექტრული მოვლენა, ცნობილი „პინჩ-ეფექტის“ სახელწოდებით (Pinch ინგლისურად შევიწროებას ნიშნავს). თუ ძლიერ ელექტროდენს გავაძიებთ აირში, რომელიც მილშია მოთავსებული (იხ. ჩანართი, 1), მაშინ იგი თავის ირგვლივ წარმოქმნის მაგნიტურ ველს, რომელიც გამოიწვევს აირის შევიწროებას ვიწრო ზონარის სახით და მის მოცილებას კედლებისაგან. მაგნიტური ძალხაზები, რომლებიც საღებავებით გარს ერტყმის პლაზმის ზონარს, კუმშავს და აცხელებს მას.


თეორიული მონაცემებიდან გამომდინარეობდა, რომ პლაზმის შესაკავებლად და მის გასაცხელებლად

